საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030186151453518

№ 01-162/ო **16 / ივლისი / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შერწყმის/რეორგანიზაციის პროცესთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე‘‘ საქართველოს კანონის (N3024-რს, 5/07/2018წ.) მე-2 მუხლის მე-3, მე-10, მე-11, მე-13 და მე-14 პუნქტების, ,,საჯარო სამსახურის შესახებ‘‘ საქართველოს კანონის 103-ე და 104-ე მუხლებისა და ,,პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ‘‘ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის‘‘ მე-5 და მე-7 მუხლების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე‘‘ საქართველოს კანონის (N3024-რს, 5/07/2018 წ.) მე-2 მუხლის თანახმად, 2018 წლის 12 ივლისიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (გარდა დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმართულებისა, მიგრაციისა და საერთაშორისო დაცვის მიმართულებისა და რეპატრიაციის მიმართულებისა) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფუნქციებისა და უფლებამოსილებების საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის (შემდგომში - სამინისტრო) ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გადმოცემასთან დაკავშირებით, **დაიწყოს** სამინისტროს **რეორგანიზაცია**, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს მტატების შემცირება.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე‘‘ საქართველოს კანონის (N3024-რს, 5/07/2018 წ.) ამოქმედებამდე არსებულ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეები (შემდგომში - მოხელე) და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები, აგრეთვე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში დასაქმებული შესაბამისი მოხელეები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული შესაბამისი პირები, 2018 წლის 12 ივლისიდან ჩაითვალონ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში დასაქმებულ პირებად (N1 და N2 დანართების შესაბამისად), შეუნარჩუნდეთ თანამდებობრივი სარგოები და გააგრძელონ სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელება.

3. რეორგანიზაციის პროცესზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) მოადგილე თამილა ბარკალაია.

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრულმა პასუხისმგებელმა პირმა:

ა) 2018 წლის 1 აგვისტომდე, მინისტრის სხვა შესაბამის მოადგილეებთან კოორდინაციით, წარმოადგინოს წინადადებები სამინისტროს ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირების, მტატების ოპტიმალური რაოდენობისა და მათი გადანაწილების შესახებ;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინადადებების შეთანხმების შემდეგ, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს სამინისტროს ახალი სტრუქტურის, დებულების, საშტატო ნუსხისა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტების წარმოდგენა;

გ) „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (N3024-რს, 5/07/2018 წ.) ამოქმედებიდან არაუგვიანეს 3 თვისა, უზრუნველყოს რეორგანიზაციის პროცესთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. დაევალოს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის და შრომის ეფექტურობის მონიტორინგის სამმართველოს (ა. ჟვანია) და ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს (ნ. არბოლიშვილი) უზრუნველყონ:

ა) ამ ბრძანების სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთათვის გაცნობა და/ან საჯაროდ გამოცხადება;

ბ) ამ ბრძანების სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსთვის გადაგზავნა;

გ) სამინისტროს თითოეული მოხელისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის გაფრთხილება კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაციის შედეგად მტატების შემცირების გამო, მათი თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლების თაობაზე;

დ) ამ ბრძანების საჯარო გამოცხადების მიზნით სამინისტროს შესაბამის ადმინისტრაციულ შენობებში თანამშრომელთათვის თვალსაჩინო ადგილზე ღიად განთავსება.

6. სამინისტროს ეკონომიკურმა დეპარტამენტმა (ნ. ქინქლაძე) და ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტმა (ს. ბელქანია) ამ ბრძანების მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, უზრუნველყონ რეორგანიზაციის პერიოდში სამინისტროს მიერ გამოსაყენებელი დროებითი საშტატო ნუსხის პროექტის მომზადება და დასამტკიცებლად წარმოდგენა.

7. სამინისტროს საქმისწარმოების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის:

ა) გამოყენებულ იქნეს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (დეს) და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Edocument);

ბ) სამინისტროს საქმისწარმოების სამმართველოებმა (ნ. ალანია, მ.გორდულაძე) მათ ბრუნვაში არსებულ კორესპონდენციასთან დაკავშირებით გამოიყენონ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (N3024-რს, 5/07/2018 წ.) ამოქმედებამდე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საქმისწარმოების სამმართველოების სარგებლობაში არსებული შესაბამისი შტამპები და ბეჭდები (ახალი შტამბების და ბეჭდების დამზადებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2018 წლის 25 ივლისისა).

8. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე. ბრძანების მე-7 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 12 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო